

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №413

2013 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების საფუძველზე,

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტი“.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 2 დეკემბრის №86 ბრძანება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტი

მუხლი 1. ტექნიკური რეგლამენტის რეგულირების საგანი

ეს ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის სამსახურებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) პირებს შორის.

მუხლი 2. ტექნიკური რეგლამენტის მიზანი და ამოცანა

1. ტექნიკური რეგლამენტის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობისას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესის დადგენა.

2. ტექნიკური რეგლამენტის ამოცანაა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის წარმოება და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა.

მუხლი 3. ძირითად ცნებათა განმარტებანი

ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებული ცნებები ნიშნავს:

ა) „ატმოსფერული ჰაერი“ – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) „მავნე ნივთიერება“ – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება,



რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

გ) „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება“ – ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მავნე ნივთიერებათა არსებობის შედეგად;

დ) „მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყარო“ – ობიექტი, რომლიდანაც ხდება მავნე ნივთიერებათა გამოყოფა (ტექნოლოგიური დანადგარი, აპარატი და სხვა);

ე) „მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყარო“ – ობიექტი, რომლიდანაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);

ვ) „დაბინძურების წყარო“ – მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ან (და) გაფრქვევის წყარო;

ზ) „მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევა“ – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა სპეციალურად გაკეთებული მოწყობილობებიდან (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);

თ) „მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა“ – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა არამიმართული ნაკადის სახით (დანადგარების ჰერმეტიკობის დარღვევის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებში გამწოვი დანადგარების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის და საერთოდ, მათი არარსებობის დროს და ა.შ.).

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების წესის შესახებ

1. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სწორი თვითმონიტორინგის წარმოება.

2. დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი მოიცავს:

ა) გაფრქვევათა გაზომვას (შეფასებას);

ბ) გაფრქვევათა აღრიცხვის წარმოებას;

გ) გაფრქვევათა ანგარიშგების წარმოებას.

3. დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობა დგინდება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების კონტროლის გამოყენებითი მეთოდების საშუალებით. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების კონტროლის გამოყენებითი მეთოდებია:

ა) დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდი;

ბ) დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის საანგარიშო მეთოდი.

4. დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის საფუძველია დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დადგენა სპეციალური გამზომსაკონტროლო აპარატურის გამოყენებით.

5. დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის საანგარიშო მეთოდის საფუძველია დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დადგენა საანგარიშო მეთოდიკის გამოყენებით.

6. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი ხორციელდება პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციის (პად) ფორმების საფუძველზე.

7. პად-ის ფორმები განკუთვნილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების (ფორმა №პად-1), აირმტვერდამჭერი და ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობის რეჟიმის (ფორმა №პად-2) და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების (ფორმა №პად-3) აღრიცხვისათვის.



8. პად-ის ფორმების წარმოებას ახორციელებს საწარმო ან მისი დაკვეთით ფიზიკური ან იურიდიული პირი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. პად-ის ფორმებს ყოველკვარტალურად (ყოველი კვარტალის ბოლოს) აწარმოებს ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველა სტაციონარული ობიექტი, ხოლო ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი სხვა დანარჩენი საქმიანობის ობიექტები – წელიწადში ორჯერ (ნახევარი წლის და წლის ბოლოს).

10. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აწარმოებს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვას. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების მიხედვით, რომლებსაც საქმიანობის სუბიექტები, ყოველწლიურად, საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ, 15 თებერვლამდე, ელექტრონული სისტემის (<http://emoe.gov.ge/>) მეშვეობით ავსებენ და შესათანხმებლად წარუდგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე განთავსებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტების შემთხვევაში – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შესაბამის სამსახურებს. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების შესაბამისი სამსახურები გადაწყვეტილებას, წარუდგენილ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების შეთანხმების თაობაზე, იღებენ 15 მარტამდე.

11. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების შევსებას, ელექტრონული სახით, აწარმოებს ყველა საქმიანობის სუბიექტი, რომელსაც გააჩნია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტი.

12. პად-ის და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმებში წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმიანობის სუბიექტს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №582 - ვებგვერდი, 28.12.2016წ.

მუხლი 5. პად-ის და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების შევსების პირობები

პად-ის და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმების შევსებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) ფორმების თითოეული სტრიქონის ყველა სვეტში უნდა ჩაიწეროს ციფრი ან სიტყვიერი აღნიშვნა, ხოლო მათი არარსებობის შემთხვევაში – გაეცვას ხაზი;

ბ) ფორმების თითოეული სვეტის (სტრიქონის) შევსებისას დაცული უნდა იქნეს მაჩვენებლების სიდიდის სიზუსტე, რომლებიც მითითებულია თითოეული ფორმის შევსების წესებში.

მუხლი 6. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის №პად-1-ის ფორმის შევსების წესები

1. ფორმა №პად-1 (დანართი 1) არის საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვიანობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტი.

2. ფორმა №პად-1-ში ჩანაწერები წარმოებს დაბინძურების წყაროების პარამეტრების გაზომვების მონაცემებისა და აღებული სინჯების ლაბორატორიული ანალიზების დამუშავების საფუძველზე. დასაშვებია აგრეთვე დასადგენ პარამეტრთა დადგენა საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

3. 1-ლ სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს (წყაროების ჯგუფის) ნომერი და დასახელება. გამოყოფის წყაროს ნომერი უნდა აღინიშნოს შემდეგნაირად: №1, №2, №3 და ა.შ.

4. მე-2 სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი და დასახელება. გაფრქვევის წყაროს ნომერი უნდა აღინიშნოს შემდეგნაირად: გ-1, გ-2, გ-3 და ა.შ.

5. მე-3 სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახე (ორგანიზებული ან არაორგანიზებული).



6. მე-4 და მე-5 სვეტებში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები, შესაბამისად, სიმაღლე და დიამეტრი ან კვეთის ზომა, ხაზობრივი წყაროსთვის მისი სიგრძე. ამ სვეტების მონაცემები (განზომილება – მეტრი) მოყვანილი უნდა იქნეს მძიმის შემდეგ მეთავედი ნიშნის სიზუსტით.

7. მე-6 და მე-7 სვეტებში აღინიშნება შესაბამისად სინჯების (გაზომვების) ალების თარიღი და ადგილი.

8. მე-8, მე-9 და მე-10 სვეტებში აღინიშნება შესაბამისად აირჰაერმტვერნარევის ტემპერატურა, სიჩქარე და მოცულობა მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსასვლელთან ან არაორგანიზებული წყაროს ზედაპირზე. მე-8 სვეტის მონაცემები (განზომილება – $t^0 c$) მოყვანილ უნდა იქნეს მთელ რიცხვებში, მე-9 და მე-10 სვეტების მონაცემები (შესაბამისად განზომილებები – მ/წმ და $m^3/წმ$) – მძიმის შემდეგ მეთავედი ნიშნის სიზუსტით. აირჰაერმტვერნარევის მოცულობა (სვეტი 10) იანგარიშება ფორმულით:

$$V_1 = W_0 \times S \text{ მ}^3/\text{წმ},$$

სადაც:

W_0 – გაფრქვევის წყაროს მილყელიდან აირჰაერმტვერნარევის გამოსვლის საშუალო სიჩქარეა, მ/წმ;

S – მილყელის განიკვეთის ფართობია აირის მილყელიდან გამოსვლის ადგილზე, m^2 .

9. მე-11 სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა დასახელება.

10. მე-12 სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია. ამ სვეტში მონაცემები (განზომილება – g/m^3) მოყვანილ უნდა იქნეს მძიმის შემდეგ მეთავედი ნიშნის სიზუსტით.

11. მავნე ნივთიერებათა დაბინძურების იმ წყაროებისთვის, რომლებიც აღჭურვილნი არიან აირმტვერდამჭერი მოწყობილობებით, ფორმა №3ად-1-ის მე-8, მე-9, მე-10 და მე-12 სვეტებში მრიცხველში უჩვენებენ აირმტვერდამჭერ მოწყობილობამდე ჩატარებული გაზომვების მონაცემებს, ხოლო მნიშვნელში – აირმტვერდამჭერი მოწყობილობის შემდეგ ჩატარებული გაზომვების მონაცემებს.

12. მე-13 სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს (წყაროების ჯგუფის) მუშაობის დრო. ამ სვეტში მონაცემები (განზომილება – სთ/კვარტალი ან ნახევარი წელი) მოყვანილ უნდა იქნეს მძიმის შემდეგ მეთავედი ნიშნის სიზუსტით.

13. მე-14 სვეტში აღინიშნება სტაციონარული წყაროებიდან გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, მე-15 სვეტში – მათგან გამწმენდ მოწყობილობაზე მოხვედრილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, მე-16 სვეტში - დაჭერილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ხოლო მე-17 და მე-18 სვეტებში – ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა. საწარმოში აირმტვერდამჭერი მოწყობილობების უქონლობის შემთხვევაში მე-14, მე-15 და მე-16 სვეტები არ ივსება. მე-14, მე-15, მე-16, მე-18, სვეტებში მონაცემები (განზომილება – ტ/კვარტალი ან ნახევარი წელი) და მე-17 სვეტის მონაცემები (განზომილება – $g/წმ$) მოყვანილ უნდა იქნეს მძიმის შემდეგ არანაკლებ მეთავედი ნიშნის სიზუსტით. მავნე ნივთიერებათა რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M = V_1 \cdot C_{\text{საგ}} \text{ გ/წმ},$$

$$G = V_1 \cdot C_{\text{საგ}} \times T \times 3600/106 \text{ ტ/კვარტალი ან ნახევარი წელი},$$

სადაც:

$C_{\text{საგ}}$ – მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაციაა აირჰაერმტვერნარევაში, g/m^3 ;

T – მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დროა, სთ/კვარტალი ან ნახევარი წელი.

14. მე-19 სვეტში აღინიშნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი ნორმა. ამ სვეტში მონაცემები (განზომილება- $g/წმ$) მოყვანილი უნდა იქნეს მძიმის შემდეგ არანაკლებ მეთავედი ნიშნის სიზუსტით.

15. მე-20 სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების განსაზღვრის მეთოდების დასახელება.

16. 21-ე სვეტში აღინიშნება ფორმა №3ად-1-ის შემვსების ხელმოწერა და თარიღი.



მუხლი 7. აირმტვერდამჭერი და ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობის რეჟიმის აღრიცხვის №3ად-2-ის ფორმის შევსების წესები

1. ფორმა №3ად-2-ის (დანართი 2) შევსება ხდება ყველა იმ საწარმოში, რომლებსაც გააჩნიათ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დამცავი აირმტვერდამჭერი მოწყობილობები.
2. 1-ლ სვეტში აღნიშნულია აირმტვერდამჭერი მოწყობილობის დასახელება.
3. მე-2 და მე-3 სვეტებში აღნიშნულია შესაბამისად მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს (წყაროების ჯგუფის) და გაფრქვევის წყაროს ნომერი და დასახელება.
4. მე-4 და მე-5 სვეტებში აღნიშნულია შესაბამისად აირმტვერდამჭერი მოწყობილობის და აირმტვერდამჭერ მოწყობილობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური მოწყობილობების ნამუშევარი საათების რაოდენობა კვარტალში ან ნახევარ წელში. ამ სვეტების მონაცემები მოყვანილ უნდა იქნეს მძიმის შემდეგ მეათედი ნიშნის სიზუსტით.
5. მე-6 სვეტში აღინიშნება აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მოცდენის დრო ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობისას, ხოლო მე-7 სვეტში – აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მუშაობისას მისი ცალკეული აპარატების მოცდენის დრო. მე-6 სვეტი ივსება იმ შემთხვევაში, როცა ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობისას არ მუშაობს მთლიანად აირმტვერდამჭერი მოწყობილობა, ხოლო მე-7 სვეტი ივსება იმ შემთხვევაში, როცა აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მუშაობისას გამორთულია მისი ცალკეული აპარატები. ამ სვეტების მონაცემები მოყვანილ უნდა იქნეს მძიმის შემდეგ მეათედი ნიშნის სიზუსტით.
6. მე-8 სვეტში აღინიშნება აირმტვერდამჭერი მოწყობილობის (მისი ცალკეული აპარატების) მოცდენის მიზეზები.
7. მე-9 სვეტში აღინიშნება ფორმა №3ად-2-ის შემვსების ხელმოწერა და თარიღი.

მუხლი 8. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების აღრიცხვის №3ად-3-ის ფორმის შევსების წესები

1. ფორმა №3ად-3-ს (დანართი 3) ავსებს ყველა ის საწარმო, რომლებიც ახორციელებენ დაგეგმილი ღონისძიებების გატარებას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის შემცირების უზრუნველსაყოფად.
2. 1-ლ სვეტში აღინიშნება წარმოების (საამქროს, უბნის) და ტექნოლოგიური მოწყობილობის დასახელება.
3. მე-2 სვეტში აღინიშნება დაგეგმილი ღონისძიების დასახელება.
4. მე-3 სვეტში აღინიშნება ღონისძიების შესრულების ვადა.
5. მე-4 სვეტში აღინიშნება ღონისძიების შესრულების დანერგვის აქტის ნომერი და თარიღი.
6. მე-5 სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა დასახელება.
7. მე-6 – მე-10 სვეტები ივსება ღონისძიებების განხორციელების და ფორმა №3ად-1-ის მონაცემების საფუძველზე. ამ სვეტების მონაცემები (განზომილებად) მოყვანილ უნდა იქნეს მძიმის შემდეგ არანაკლებ მეათასედი ნიშნის სიზუსტით.
8. მე-11 სვეტში აღინიშნება ფორმა №3ად-3-ის შემვსების ხელმოწერა და თარიღი.

მუხლი 9. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმის შევსების წესები

1. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმაში (დანართი 4) აისახება მონაცემები დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გამოყოფილ და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ, აგრეთვე აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში მოხვედრილ და დაჭერილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების შესახებ. ფორმაში წარმოდგენილია ასევე მონაცემები საწარმოს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ.
2. აღრიცხვას ექვემდებარება საწარმოში არსებული ორგანიზებული და არაორგანიზებული დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან წარმოქმნილ აირებში შემავალი ყველა მავნე ნივთიერება.
3. პირველ სვეტში აღინიშნება სტრიქონის ნომერი.
4. მე-2 სვეტში აღინიშნება მავნე ნივთიერებათა დასახელება და მასში მითითებულია ძირითადი მავნე ნივთიერებები.



მე-2 სვეტში მითითებულ ძირითად მავნე ნივთიერებათა გარდა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ამ სვეტში სპეციალურად გამოყოფილ შეუვსებელ სტრიქონებში სხვა მავნე ნივთიერებათა დასახელებების ჩაწერა.

5. მე-3 სვეტში აღინიშნება დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა.

6. მე-4 და მე-5 სვეტებში აღინიშნება შესაბამისად აირმტვერდამჭერ მოწყობილობებში მოხვედრილი და დაჭერილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობები.

7. მე-6 სვეტში აღინიშნულია საანგარიშო წელს სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ხოლო მე-7 სვეტში – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ნორმა.

8. თუ საწარმო არ არის აღჭურვილი აირმტვერდამჭერი მოწყობილობებით, მაშინ ფორმის მე-4 და მე-5 სვეტები არ ივსება და ამ შემთხვევაში სტაციონარული წყაროებიდან გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვეტი 3) ტოლი იქნება სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობისა (სვეტი 6).

9. მე-3 – მე-7 სვეტების მონაცემები (განზომილება – ტონა/წელი) მოყვანილ უნდა იქნეს მძიმის შემდეგ არანაკლებ მეათასედი ნიშნის სიზუსტით.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევისთვის

პასუხისმგებლობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევისთვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

დანართი 1

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების აღრიცხვის ფორმა №პად-1

წარმოების (საამქროს, უბნის) დასახელება

მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს (წყაროების ჯგუფის) ნომერი და დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი და დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახე (ორგანიზებული ან არაორგანიზებული)	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		სინჯების (გაზომვების) აღების თარიღი	სინჯების (გაზომვების) აღების ადგილი	აირჰაერმტვერნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსასვლელთან		
			სიმაღლე, მ	დიამეტრი ან კვეთის ზომა, ხაზობრივი წყაროსათვის მისი სიგრძე, მ			ტემპერატურა, °C	სიჩქარე, მ/წმ	მოცულობა, მ ³ /სთ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10

დანართი 1-ის გაგრძელება

მავნე ნივთიერებათა დასახელება	მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია გ/მ ³	მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს (წყაროების ჯგუფის) მუშაობის დრო, სთ/კვარტალი ან ნახევარი წელი	სტაციონარული წყაროებიდან გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტონა/კვარტალი ან ნახევარი წელი	მათ შორის		ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა		მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი ნორმა, გ/მ ³	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ხელმოწერა დასახელება	№პად-1 ფორმის შემსვების ხელმოწერა და თარიღი
				მოხვედრილი, ტონა/კვარტალი ან ნახევარი წელი	დაჭერილი, ტონა/კვარტალი ან ნახევარი წელი	გ/წმ	ტ/კვარტალი ან ნახევარი წელი			



11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
----	----	----	----	----	----	----	----	----	----	----

დანართი 2

აირმტვერდამჭერი და ტექნოლოგიური მოწყობილობების მუშაობის რეჟიმის აღრიცხვის ფორმა №3ად-2

წარმოების (საამქროს, უბნის) დასახელება

აირმტვერდამჭერი მოწყობილობის დასახელება	მაგნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს (წყაროების უჯვრის) ნომერი და დასახელება	მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი და დასახელება	ნამუშევარი საათების რაოდენობა კვარტალში ან ნახევარ წელში		აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მოცდენის დრო ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობისას, სთ/კვარტალი ან ნახევარი წელი	აირმტვერდამჭერი მოწყობილობის მუშაობისას მისი ცალკეული აპარატების მოცდენის დრო, სთ/კვარტალი ან ნახევარი წელი	აირმტვერდამჭერი მოწყობილობის (მისი ცალკეული აპარატების) მოცდენის მიზეზი	№3ად-2 ფორმის შემცვლების ხელმოწერა და თარიღი
			აირმტვერდამჭერი მოწყობილობისთვის	აირმტვერდამჭერი მოწყობილობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური მოწყობილობისათვის				
1	2	3	4	5	6	7	8	9

დანართი 3

ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების შესრულების აღრიცხვის ფორმა №3ად-3

წარმოების (საამქროს, უბნის) და ტექნოლოგიური მოწყობილობის დასახელება	დაგეგმილი ღონისძიების დასახელება	ღონისძიების შესრულების ვადა	ღონისძიების შესრულების (დანერგვის) აქტის ნომერი და თარიღი	მაგნე ნივთიერებათა დასახელება	ატმოსფერულ ჰაერში მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევების ფაქტობრივი შემცირება ღონისძიებების ჩატარების შემდეგ				№3ად-3 ფორმის შემცვლების ხელმოწერა და თარიღი	
					სულ	მათ შორის კვარტალების მიხედვით				
						I	II	III		IV
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

დანართი 4

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №582 - ვებგვერდი, 28.12.2016წ.

მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმა



საწარმოს დასახელება	
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი, ტელეფონი	
ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონი	
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდ. სისტ.)	
ელექტრონული-ფოსტა	
ეკონომიკური საქმიანობის სახე	
გამოშვებული პროდუქციის სახეობა და რაოდენობა	
მოხმარებული ნედლეულის სახეობა და რაოდენობა	
მოხმარებული საწვავის სახეობა და რაოდენობა ¹	
საწვავის ხვედრითი თბომემცველობა ²	
სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	
საანგარიშო 20----- წელი	

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფა, გაწმენდა და გაფრქვევა, ტონა/წელი

№	მავნე ნივთიერებათა დასახელება	სტაციონარული წყაროებიდან გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა	მათ შორის		გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, სვ.3-სვ.5	საანგარიშო წელს მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ნორმა
			მოხვედრილი გამწმენდ მოწყობილობაში	დაჭერილი		
1	2	3	4	5	6	7
სულ მყარი (№1-7), მათ შორის						
1	მტვერი					
2	ჰვარტლი, C					
3	მანგანუმის ორჟანგი, MnO ₂					
4	ვანადიუმის ხუთჟანგი, V ₂ O ₅					
5	ბენზ(ა)პირენი, C ₂₀ H ₁₂					
6						
7						
სულ აირადი (№8-13), მათ შორის						
8	გოგირდის ორჟანგი, SO ₂					
9	აზოტის ჟანგეულები, NOx					
10	ნახშირჟანგი, CO					
11	ნახშირწყალბადები, CxHy					



12						
13						
სულ მძიმე ლითონები (№14-23), მათ შორის						
14	ტყვია, Pb					
15	კადმიუმი, Cd					
16	ვერცხლისწყალი, Hg					
17	დარიშხანი, As					
18	ქრომი, Cr					
19	სპილენძი, Cu					
20	ნიკელი, Ni					
21	სელენი, Se					
22	თუთია, Zn					
23						
24	ნახშირორჟანგი, CO₂					

შენიშვნა: 1. სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებების მიერ მოხმარებული საწვავის გარდა

2. მონაცემებს საწვავის ხვედრითი თბოშემცველობის და მძიმე ლითონების გაფრქვევების შესახებ ავსებენ მხოლოდ თბოელექტროსადგურები, მეტალურგიული საწარმოები, მინისა და მინის პროდუქციის საწარმოები, სრული ტექნოლოგიური ციკლის მქონე (კლინკერის მიღებით) ცემენტის საწარმოები

